ზედსართავ სახელთა წარმოება ნასესხებ სიტყვათაგან -ურ ბოლოსართით

-ურ ბოლოსართი ქართულში სადაურობისა და თვისების აღმნიშვნელი სიტყვების საწარმოებელია[1]. ეგვეე **-ურ** ბოლოსართი აწარმოებს ზედსართავებს იმ შემთხვევაშიც. როცა მათ ფუძედ უცხო სიტყვაა აღებული (**ინტერნაციონალ-ურ-ი, ცენტრალ-ურ-ი. ტექნიკ-ურ-ი**). ნასესხებ სიტყვებსა და მათს ახალ წარმოებებში **-ურ** სუფიქსის ხმარებისას არევ-დარევაა. ეს არევ-დარევა უმეტეს წილ შემთხვევაში დამყარებულია იმ გაუგებრობაზე, რომელიც მდგომარეობდა ამ სიტყვათა რუსული ენიდან გადმოღების დროს ერთ-ერთი რუსული ბოლოსართის მცდარ დანაწევრებაში[2], სახელდობრ, ისეთ სიტყვათა გადმოღებისას, როგორიცაა: динамический, диалектический, фонетический... ბოლოსართად გაგებულ იქნა -ческий, რომელიც ჩამოსცილდა სიტყვას და მის მაგიერ მიემატა ქართული **-ურ-ი: დინამი-ურ-ი, დიალექტი-ურ-ი, ფონეტი-ურ-ი...** ნამდვილად კი აქ რუსული დაბოლოებაა -еский, ხოლო ч უმეტეს წილად к-ს სახეცვლილებაა (შეად. человек — человеч-еский, грек — греч-еский). აღნიშნულ არევ-დარევას სხვა მიზეზებიც აქვს, ნაკლებ მნიშვნელოვანი.

მოცემული რიგის სიტყვახმარებაში ერთფეროვნების დასამყარებლად სახელმძღვანელოდ უნდა იქნეს მიღებული შემდეგი დებულებები:

1. სავალდებულოა უცხო ენებიდან ნასესხები ზედსართავების ქართული გაფორმება:

სოციალური (და არა: **სოციალი**), **რეალური** (და არა: **რეალი**), **ცენტრალური** (და არა: **ცენტრალი**), **კონკრეტული** (და არა: **კონკრეტი**), **პასიური** (და არა: **პასივი**) და სხვ.

2. გაფორმება ხდება შემდეგი თავსართებისა და ბოლოსართების საშუალებით: უმრავლეს შემთხვევაში **-ურ** სუფიქსით, აგრეთვე **-ობრივ** სუფიქსით და **სა- -ო** პრეფიქს-სუფიქსით; მაგ.:

პოლიტიკ-ურ-ი, კლას-ობრივ-ი, სა-რევოლუციო-ო...

ამათგან არევ-დარევა ჩნდება **-ურ** ბოლოსართის ხმარებისას.

შენიშვნა. თუ საწარმოებელი სიტყვის ფუძეში **რ** ბგერა შედის, მაშინ ბოლოსართი **-ურ** დისიმილაციით **-ულ** სახით წარმოგვიდგება.

3. აღნიშნული ბოლოსართები და თავსართები ემატება სახელის იმ ნაწილს, რომელსაც მივიღებთ ნათესაობით ბრუნვაში ბრუნვის **-ის** დაბოლოების ჩამოცილების შემდეგ, ე. ი. შეკუმშულ და ბოლომოკვეცილ ფუძეებს (თუ სახელი კუმშვადი ან კვეცადია).

---

[1] ათეიზმ სიტყვაში გვხვდება ბოლოსართი **-იურ-იც**: **მზიური, ღლიური, წლიური...** მაგრამ ის სხვა წარმოშობისაა და აღებული კატეგორიისათვის დამახასიათებელი არ არის.

[2] თუმცა აღნიშნული სიტყვები ევროპულ ენებს ეკუთვნის, მაგრამ ქართველში ისინი ჩვეულებრივ რუსულის გზით შემოდიოდნენ.

ძმა	ძმ-ის	ძმ-ურ-ი
პოლიტიკა	პოლიტიკ-ის	პოლიტიკ-ურ-ი
ისტორია	ისტორი-ის	ისტორი-ულ-ი
პრაქტიკა	პრაქტიკ-ის	პრაქტიკ-ულ-ი
კლას-ი	კლას-ის	კლას-ობრივ-ი
რევოლუცია	რევოლუცი-ის	სა-რევოლუცი-ო...

4. ნასესხები სიტყვებისგან ზედსართავის წარმოებისათვის დასაყრდენია ან არსებითი, ან ზედსართავი სახელის ფუძე.

5. როცა მხოლოდ ზედსართავია ნასესხები (და სათანადო არსებითი სახელი კი — არა), ქართული სუფიქსი ემატება სათანადო უცხო ენის ზედსართავის ფუძეს:

актуаль-ный	აქტუალ-ურ-ი
реаль-ный	რეალ-ურ-ი
социаль-ный	სოციალ-ურ-ი
специаль-ный	სპეციალ-ურ-ი
конкрет-ный	კონკრეტ-ულ-ი
серьез-ный	სერიოზ-ულ-ი

6. როცა სათანადო არსებითი სახელიც არის ნასესხები, ქართული ბოლოსართი ემატება არსებითი სახელის ფუძეს (მესამე მუხლში აღნიშნული გაგებით).

გიგანტ-ი	გიგანტ-ის	გიგანტ-ურ-ი
დინამიკა	დინამიკ-ის	დინამიკ-ურ-ი
ლოგიკა	ლოგიკ-ის	ლოგიკ-ურ-ი
პერიოდი	პერიოდ-ის	პერიოდ-ულ-ი
სტატიკა	სტატიკ-ის	სტატიკ-ურ-ი
ადმინისტრაცია	ადმინისტრაცი-ის	ადმინისტრაცი-ულ-ი
ასტრონომია	ასტრონომი-ის	ასტრონომი-ულ-ი
გრამატიკა	გრამატიკ-ის	გრამატიკ-ულ-ი

და ასე: ანალიტიკა: ანალიტიკ-ურ-ი, მაგრამ:

ანალიზ-ი: ანალიზ-ურ-ი
გრაფიკა: გრაფიკ-ულ-ი
ეთიკა: ეთიკ-ურ-ი
ლირიკა: ლირიკ-ულ-ი
მათემატიკა: მათემატიკ-ურ-ი
მექანიკა: მექანიკ-ურ-ი
პოლიტიკა: პოლიტიკ-ურ-ი
სპეციფიკა: სპეციფიკ-ურ-ი
სტატისტიკა: სტატისტიკ-ურ-ი
სქოლასტიკა: სქოლასტიკ-ურ-ი
ტაქტიკა: ტაქტიკ-ურ-ი
ტექნიკა: ტექნიკ-ურ-ი
იდეალი: იდეალ-ურ-ი

იდეალისტ-ი: იდეალისტ-ურ-ი
ინტერნაციონალ-ი: ინტერნაციონალ-ურ-ი
ინტერნაციონალისტ-ი: ინტერნაციონალისტ-ურ-ი

შენიშვნა 1. ამ რიგისათვის, გამონაკლისის სახით, წარმოების დასაყრდენად შეიძლება მიღებულ იქნეს უცხო ზედსართავის ფუძეც, თუ ეს წარმოება სალიტერატურო ენაში გაბატონებულია:
მუსიკალ-ურ-ი, ფორმალ-ურ-ი, თეატრალ-ურ-ი, ცენტრალ-ურ-ი, მატერიალ-ურ-ი.

შენიშვნა 2. მაგრამ ასეთ შემთხვევაშიც ნასესხები არსებითი სახელის ფუძისაგან ზედსართავის კანონზომიერი წარმოება პარალელურად სავსებით დასაშვებია:
მუსიკალ-ურ-ი და **მუსიკ-ურ-ი, ნორმალ-ურ-ი** და **ნორმ-ულ-ი** და სხვ.

შენიშვნა 3. **-ურ** სუფიქსით ზედსართავი სახელის წარმოების პარალელურად ფართოდ უნდა გაეხსნას გზა, ერთი მხრით, **-ობრივ** სუფიქსით წარმოებას და **სა-** პრეფიქსისა და **-ო** სუფიქსის გამოყენებას, ხოლო, მეორე მხრით, ნათესაობითი ბრუნვის ფორმის გამოყენებას უცხოური ზედსართავის გადმოსაცემად; მაგალითად, **ფაქტიური, ტიპიური** ზედსართავების ნაცვლად, რომლებიც, როგორც ასე თუ ისე გავრცელებულნი, გამონაკლისის სახით დატოვებული იყო სალიტერატურო ენაში, უნდა ვიხმაროთ **ფაქტ-ობრივ-ი, ტიპ-ობრივ-ი** (**ფაქტობრივი** მდგომარეობა, **ტიპობრივი** წესდება); ასევე: **საისტორიო-საეთნოგრაფიო** საზოგადოება, **ფილოლოგიის** ფაკულტეტი, **ენერგეტიკის** ინსტიტუტი და სხვ.

7. ზემოთქმულის მიხედვით შეუწყნარებელია წარმოებისათვის დასაყრდენად გამოყენება უცხო ენის ზედსართავის უმართებულოდ გამოყოფილი ფუძისა. უნდა იყოს: **ელასტიკ-ურ-ი** და არა: **ელასტი-ურ-ი**: эластический (*эластикский)

ტრაგიკ-ულ-ი (და არა: **ტრაგი-ულ-ი**)

8. ბერძნულიდან მომდინარე **-მა-**თი დასრულებული არსებითი სახელისაგან ზედსართავი იწარმოება სახელის ფუძეზე **-ურ** ბოლოსართის დართვით:

ეპიგრამა—ეპიგრამ-ულ-ი
დრამა—დრამ-ულ-ი და აგრეთვე: **დრამის**, მაგ., თეატრი. აგრეთვე: **დრამატ-ულ-ი**)
პრობლემა—პრობლემ-ურ-ი (აგრეთვე: **სა-პრობლემ-ო**)
პროგრამა—პროგრამ-ულ-ი (აგრეთვე: **სა-პროგრამ-ო**)
სისტემა—სისტემ-ურ-ი (აგრეთვე: **სისტემატ-ურ-ი**)
სქემა — სქემ-ურ-ი (აგრეთვე: **სქემატ-ურ-ი**)
და ასე: **პრიზმა — პრიზმ-ულ-ი**
ტრავმა — ტრავმ-ულ-ი...

შენიშვნა. თუ ნასესხებია ზედსართავი სახელები, რომელთა შესაბამი **-მა** დაბოლოებიანი არსებითი სახელები ქართულში არ მოიპოვება, მაშინ ზედსართავი ფორმდება რუსული გზით მიღებული ზედსართავის ფუძისაგან:

პნევმატ-ურ-ი пневмат-ический
პრაგმატ-ულ-ი прогмат-ический
სომატ-ურ-ი сомат-ический

9. უნდა გაირჩეს სხვადასხვა შინაარსის მქონე ზედსართაული წარმოებანი, რომლებიც გარეგნულად ერთმანეთს ემსგავსებიან:

პედაგოგია (წვრთნა): **პედაგოგი-ურ-ი**, მაგრამ: **პედაგოგ-ი**: **პედაგოგ-ურ-ი**, **პედაგოგიკა**: **პედაგოგიკ-ურ-ი**.

მასივ-ი: **მასი-ურ-ი** (массивный), მაგრამ: **მასა**: **მას-ობრივ-ი**, **სა-მას-ო**, **მას-ურ-ი** (массовый).

კლას-ი: **კლას-ობრივ-ი** (классовый), მაგრამ: **კლასიკ-ურ-ი** (классический).

ასევე: თუ ამოსავალია **ეკონომიკა** ფუძე, მისგან ნაწარმოები ზედსართავი იქნება — **ეკონომიკ-ურ-ი**; თუ ამოსავალია **ეკონომია** ფუძე, მისგან ნაწარმოები ზედსართავი იქნება — **ეკონომი-ურ-ი**, ხოლო, თუ ამოსავალია **ეკონომ** ფუძე — მისგან ნაწარმოები ზედსართავი იქნება **ეკონომ-ურ-ი**. რუსული экономный-ს შესატყვისად ქართულში დარჩება **ეკონომიურ-ი**.